Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

# ხელშეკრულება №28

ქ. თბილისი                                                  24 მაისი 2012 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი მისი მმართველის დავით დოიაშვილის სახით, (შემდგომში „დამკვეთი") და, მეორეს მხრივ შალვა ტრაპაიძის სახით შემდგომში "შემსრულებელი" ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამკვეთი" აძლევს დავალებას, ხოლო "შემსრულებელი" სათანადო ანაზღაურებით კისრულობს სხვადასხვა საქმიანობა და მათთან დაკავშირებული მომსახურება (CPV- 79900000), კერძოდ, მილების გაჩარხვა, საკისარზე მორგება და ჩაპრესვა, "დამკვეთის" წინაშე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 "დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს "შემსრულებელს" ანაზღაურება 75.00 (სამოცდათხუთმეტი) ლარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.ღ.გ და სხვა) გადასახადების ჩათვლით;

## 3. ხელშეკრულების ამოქმედება, მოქმედების ვადა, შეწყვეტა

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 24 მაისიდან 2012 წლის 1 ივნისამდე.

3.2. ნაკისრი ვალდებულების შესრულების პარალელურად "შემსრულებელი" უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.

## 4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

4.1 "დამკვეთი" ვალდებულია:

4.1.1 განუმარტოს "შემსრულებელს" ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მის მიერ სამუშაოს შესრულებისას;

4.1.2. მიაწოდოს "შემსრულებელს" ყველა სახის ინფორმაცია რაც დაეხმარება ამ უკანასკნელს სამუშაოს შესრულებაში;

4.1.3. დროულად და სრულად გადაუხადოს "შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

4.1.4. შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე უზრუნველყოს "შემსრულებელი" სათანადო პირობებით.

4.2 "შემსრულებელი" ვალდებულია:

4.2.1 დროულად და სრულად გაუწიოს "დამკვეთს" მოვალეობის შესრულება.

4.2.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში უზრუნველყოს "დამკვეთი"-ს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის მაღალპროფესიონალურად შესრულება;

4.2.3. ხელშეკრულების არასაპატიო მიზეზით მოშლის შემთხვევაში "დამკვეთს" გადაუხადოს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის სრული მოცულობით

## 5. დამატებითი დებულებები

5.1 "დამკვეთი" და "შემსრულებელი" კონფიდენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშეკრულების შინაარს.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

## 7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;
7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## 8. მხარეთა რეკვიზიტები:

"დამკვეთი"

ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი ს/კ 201948928

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №182

სს „საქართველოს ბანკი", კოდი: 220101502,

ა/ა 123361000

თეატრის მმართველი

დავით ლორიაშვილი

"შემსრულებელი"

შალვა ტრაპაიძე

მის: რუსთავი მეგობრობის გამზირი, კორპ 10ბ, ბინა 57

ტელ:

პირადი ნომერი: 35001094848

„შემსრულებელი"

დირექტორი

ხელმოწერა